



Tax • Audit • Consulting

შპს ზღ ნავთობის კომპანია

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის განცხადება	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	9
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	12

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის განცხადება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ზედ ნავთობის კომპანიის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებს, კაპიტალის ცვლილებასა და ფულადი ნაკადების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად. ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შემდეგზე:

- სააღრიცხვო პოლიტიკის სწორად შერჩევა და გამოყენება;
- ინფორმაციის, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, წარდგენა იმგვარად, რომ უზრუნველყოს შესაბამისი, სანდო, შესადარისი და გასაგები ინფორმაცია;
- დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება, როდესაც მსს ფასს-ის სპეციფიკური მოთხოვნების შესრულება არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ მომხმარებლებმა შეძლონ გააცნობიერონ კონკრეტული ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სახით საქმიანობის გაგრძელების უნარის შეფასება.
- მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის გამჟღავნება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;
- მმართველობის ანგარიშგების მომზადება ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია შემდეგზე:


- კომპანიის მასშტაბით შიდა კონტროლის ეფექტიანი და ჯანსაღი სისტემის შემუშავება, დანერგვა და შენარჩუნება;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარადგენს და ხსნის კომპანიის ოპერაციებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენასა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელება;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების გამოვლენა და პრევენცია.

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის დამტკიცდა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი: ბადრი ბუთხუჯი

27 სექტემბერი 2024 წელი



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ზედ ნავთობის კომპანიის პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ზედ ნავთობის კომპანიის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს 7,909,075 ლარს და 3,965,910 ლარს, შესაბამისად. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარისგან დასტურის წერილები და ვერც ალტერნატიული პროცედურებით შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები რწმუნების მისაღებად სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლის სისწორეზე.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს 5,020,633 ლარს და 689,664 ლარს, შესაბამისად. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარისგან დასტურის წერილები და ვერც ალტერნატიული პროცედურებით შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები რწმუნების მისაღებად სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების მუხლის სისწორეზე.

შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა კორექტირებები წარდგენილი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლებთან დაკავშირებით, ასევე ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებების შესაბამის შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში.

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, განმარტებულია ჩვენი დასკვნის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“, ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნის გამოკლებით. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ არის თუ არა იგი არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პარაგრაფით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე “მსს ფასს”-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა შეაფასოს, შესწევს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას;
- ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

პარტნიორთა და სამეთვალყურეო საბჭოს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

შპს თიემსის სახელით (რეგ. # SARAS-F-156621)
მამუკა მარდალეიშვილი (რეგ. # SARAS-A-795740)

27 სექტემბერი, 2024 წელი
თბილისი, საქართველო



სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2023 ლარი	2022 ლარი
ამონაგები	5	85,287,827	90,737,238
ამონაგების თვითღირებულება		(80,335,487)	(79,589,099)
საერთო მოგება/(ზარალი)		4,952,340	11,148,139
პერსონალის შენახვის ხარჯები	6	(914,648)	(818,061)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	10	(324,621)	(199,123)
სხვა საერთო ხარჯები	7	(841,809)	(320,952)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		2,871,262	9,810,003
ფინანსური ხარჯები	8	(1,283,060)	(779,308)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	9	(394,676)	980,654
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		1,193,526	10,011,349
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება/(ზარალი)		1,193,526	10,011,349
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		1,193,526	10,011,349

დირექტორი: ბადრი ბუთხუზი



სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2023 ლარი	2022 ლარი
ამონაგები	5	85,287,827	90,737,238
ამონაგების თვითღირებულება		(80,335,487)	(79,589,099)
საერთო მოგება/(ზარალი)		4,952,340	11,148,139
პერსონალის შენახვის ხარჯები	6	(914,648)	(818,061)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	10	(324,621)	(199,123)
სხვა საერთო ხარჯები	7	(841,809)	(320,952)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		2,871,262	9,810,003
ფინანსური ხარჯები	8	(1,283,060)	(779,308)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	9	(394,676)	980,654
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		1,193,526	10,011,349
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება/(ზარალი)		1,193,526	10,011,349
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		1,193,526	10,011,349

დირექტორი: ბადრი ბუთხუზი _____

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2023 ლარი	2022 ლარი
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	6,739,503	6,642,699
არამატერიალური აქტივები	10	326	419
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,739,829	6,643,118
 მარაგები	11	31,127,101	15,900,893
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	7,909,075	3,965,910
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	102,443	608,062
სულ მოკლევადიანი აქტივები		39,138,619	20,474,865
 სულ აქტივები		45,878,448	27,117,983
 საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		7,547,356	7,547,356
გაუნაწილებელი მოგება		13,367,088	12,173,562
სულ საკუთარი კაპიტალი		20,914,444	19,720,918
 ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	14	13,399,553	342,957
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		13,399,553	342,957
 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	15	5,020,633	689,664
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	14	5,554,808	4,724,105
საგადასახადო ვალდებულებები		75,805	779,548
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	16	913,205	860,791
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		11,564,451	7,054,108
 სულ ვალდებულებები		24,964,004	7,397,065
 სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		45,878,448	27,117,983

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	სულ საკუთარი კაპიტალი ლარი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	7,547,356	2,162,213	9,709,569
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	10,011,349	10,011,349
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7,547,356	12,173,562	19,720,918
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,193,526	1,193,526
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7,547,356	13,367,088	20,914,444

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	2023 ლარი	2022 ლარი
კლიენტებისგან მიღებული ფული	112,667,551	113,968,241
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(103,908,395)	(98,892,082)
დასაქმებულებზე გადახდილი ფული	(817,906)	(760,056)
გადახდილი გადასახადები	(21,132,059)	(8,443,312)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(13,190,808)	5,872,791
ძირითადი საშუალებების (შეძენა)/გაყიდვა	(62,213)	(2,798,719)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(62,213)	(2,798,719)
ცვლილებები მიღებულ სესხებში	14,083,005	(2,083,978)
გადახდილი პროცენტები	(1,230,646)	(776,762)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული/(ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	12,852,358	(2,860,740)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	(400,663)	213,332
სავალუტო კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(104,956)	(131,282)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	608,062	526,012
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	102,443	608,062

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ზედ ნავთობის კომპანია“ (შემდგომში „კომპანია“) (ს.კ.: 404440501) არის საქართველოში დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მისი რეგისტრაციის თარიღია: 26.03.2013. კომპანიის ოფიციალური მისამართია საქართველო, საქართველო, გარდაბანის რაიონი, სოფ. მარტყოფი, ვაზიანი

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ნავთობ პროდუქტების იმპორტი, გადამუშავება და საბითუმო რეალიზაცია როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ბაზარზე.

კომპანიის მფლობელობა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- 55% - დავით კაპანაძე;
- 45% - გაბრიელ ნაზარაშვილი

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2022 წლის თებერვალში რუსეთის უკრაინაზე სამხედრო თავდასხმამ ამ ორ ქვეყანას შორის ომი გამოიწვია, რის შედეგადაც ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა კავშირმა უმცარესი ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს. მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებსა და ფიზიკურ პირებს. რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაუფასურდა, ასევე გაუფასურდა რუსული კომპანიების ფასიანი ქაღალდების ღირებულება. აღნიშნულმა პროცესებმა გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში.

უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან და ვინაიდან ომი ჯერაც მიმდინარეობს, გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს იგი ზოგადად საქართველოს ეკონომიკაზე.

კომპანიის ხელმძღვანელობა თვალყურს ადევნებს შექმნილი ვითარებით გამოწვეულ ცვლილებებს კომპანიასა და ზოგადად ეკონომიკაში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღამდე შექმნილ ახალ ვითარებას კომპანიაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად

კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1. მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოშვებული „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის“ (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების შედგენა საჭიროებს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. გარდა ამისა, საჭიროებს ხელმძღვანელობის მხრიდან განსჯასა და გადაწყვეტილების მიღებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ინფორმაცია ისეთი სფეროების შესახებ, რომლებიც განსაკუთრებით რთულია, ან მაღალი დონის განსჯა ესაჭიროება, ან სადაც გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვანია მოცემული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3.2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ა) უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე კომპანიის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად კომპანიის მიერ აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაციაც ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სავალუტო კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმომდგარი ნებისმიერი სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც კომპანია თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის რამდენიმე წინასწარი

გადახდის ან მიღების შემთხვევაში, კომპანია თითოეულისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

	31.12.2023	31.12.2022
1 აშშ დოლარი / ლარი	2.6894	2.7020
1 ევრო / ლარი	2.9753	2.8844
100 რუბლი / ლარი	2.9916	3.6770

ბ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ის დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

გ) ამონაგები და სხვა შემოსავალი

მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა კლიენტს ანაზღაურების შესაბამისი ოდენობით, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის და მომსახურების სანაცვლოდ.

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანია ზოგადად აღიარებს შემდეგი ტიპის შემოსავლებს:

შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან მოიცავს ადგილობრივ ბაზარზე რეალიზებული პროდუქციის ღირებულებას და აღიარდება, მაშინ, როდესაც საქონელზე კონტროლი გადაეცემა კლიენტს შესაბამისი ანაზრაურების ოდენობით, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის და მომსახურების სანაცვლოდ.

შემოსავალი ექსპორტის ოპერაციებიდან

შემოსავალი ექსპორტის ოპერაციებიდან წარმოადგენს დღგ-სგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციას. ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება ექსპორტის ოპერაციის განხორციელების მომენტში.

დ) გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. დივიდენდებზე გადაიხდება მოგების გადასახადი და ის დაირიცხება იმ აქციონერებზე დივიდენდებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება.

საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის პარტნიორებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა თანხა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება, როგორც წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, ან როგორც საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. ამიტომ კომპანია ყველა საგადასახადო კრედიტორულ და დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

ე) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

მიწასა და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. სხვა აქტივებს ცვეთა იმგვარად ერიცხება, რომ აქტივების თვითღირებულება, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით,

განაწილდეს მათ შეფასებულ სასარგებლო მომსახურების ვადაზე, კერძოდ, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ქვემოთ:

	სასარგებლო გამოყენების ვადა
შენობა-ნაგებობები	20 წელი
მანქანა-დანადგარები	10 წელი
აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	7 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
ელ. მომარაგების ხაზი	10 წლამდე

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები იმ შემთხვევაში გადაიხედება და პერსპექტიულად დაკორექტირდება, თუ არსებობს ნიშანი იმისა, რომ ისინი მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე მისი შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა და ზარალი განისაზღვრება შემოსულობის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ვ) იჯარა

სადაც კომპანია არის მოიჯარე, იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საიჯარო გადასახდელებსა და შემოსავლებს კომპანია აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით.

ზ) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ღირებულებით, რომელსაც ემატება ტრანსპორტირებისა და ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯები. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი. მარაგები ხარჯებად ტარდება „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდის გამოყენებით.

თ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხდება ცვეთადი და ამორტიზებადი აქტივების შეფასება იმის დასადგენად, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი მათი გაუფასურების. თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ ესა თუ ის აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს, შემოწმდება ამ აქტივის (ან იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც მოცემული აქტივი განეკუთვნება) საბალანსო ღირებულება გაუფასურებაზე. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ ოდენობით, რომლითაც მისი საბალანსო ღირებულება.

გაუფასურების შეფასების მიზნით, აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს ცალკეული ფულადი სახსრების ნაკადები. არაფინანსური აქტივები, რომლებმაც განიცადეს გაუფასურება, მიმოიხილება გაუფასურების შესაძლო შეცვლის მიზნით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

ი) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ბანკში და სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან. ნაღდი ფული ბანკში გულისხმობს მიმდინარე ანგარიშებს.

კ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ასევე შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები მოგება-ზარალში აისახება ყოველგვარი ანაზღაურების გამოკლებით.

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მნიშვნელოვანია, ანარიცხების დისკონტირება ხდება მიმდინარე დაბეგვრამდელი განაკვეთით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ასახავს ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გამოყენების შემთხვევაში, ანარიცხების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარებულია ფინანსური ხარჯების ნაწილში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება

ჩვეულებრივი საქმიანობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. სტანდარტის მიხედვით, მოითხოვება ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება, მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისათვის, განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, გარიგებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ხორციელდება, თუ არასაბაზრო განაკვეთებით. განსჯა ეფუძნება არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

კომპანია განიხილავს რეზერვებს სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და იყენებს სტანდარტის გამარტივებულ მიდგომას. ხელმძღვანელობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს ანგარიშობს ამ ფინანსური ინსტრუმენტების ვადის გათვალისწინებით. კომპანია იყენებს კომპანიის საკრედიტო ზარალის გამოცდილების გათვალისწინებით მომზადებული ანარიცხის მოდელს, რომელიც დებიტორების მომავალზე ორიენტირებულ ფაქტორებს და ეკონომიკურ გარემოს ერგება. ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისთვის კომპანიამ განსაზღვრა, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითი იყო.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავენ კომპანიისთვის. გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

5. ამონაგები

	2023	2022
	ლარი	ლარი
შემოსავალი რეალიზაციიდან	61,705,877	60,725,094
შემოსავალი რეალიზაციიდან დღგ-სგან გათავისუფლებული	23,581,950	30,012,144
	85,287,827	90,737,238

6. პერსონალის შენახვის ხარჯები

პერსონალის შენახვის ხარჯები მოიცავს, თანამშრომელზე გადახდილ სახელფასო ანაზღაურებას, რომელიც 2023 წლის მდგომარეობის შეადგენს 914,648 ლარს, ხოლო 2022 წლის მდგომარეობით - 818,061 ლარს

7. სხვა საერთო ხარჯები

	2023 ლარი	2022 ლარი
საექვო ვალების ანარიცხი	198,088	(79,843)
ბანკის საკომისიო	109,171	34,585
საბაჟო საწყობის მომსახურება	105,813	-
დაცვის მომსახურება	76,271	61,017
ქონების გადასახადი	54,046	37,262
მიწის გადასახადი	34,543	45,305
დაზღვევის ხარჯები	31,750	12,300
საკონსულტაციო ხარჯები	30,376	27,219
ლაბორატორიული მომსახურების ხარჯი	26,356	17,644
საიჯარო ქირა	22,679	12,771
სარემონტო მომსახურების ხარჯი	11,911	106,096
კომუნალური ხარჯები	2,009	2,325
სხვა ხარჯი	138,796	44,271
	841,809	320,952

8. ფინანსური ხარჯები

კომპანიის ფინანსურ ხარჯს წარმოადგენს საბანკო სასესხო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯს, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,283,060 ლარს, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 779,308 ლარს.

9. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)

	2023 ლარი	2022 ლარი
კურსთაშორის სხვაობით მიღებული შედეგი	(579,825)	958,914
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	187,135	45,455
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	(1,986)	(23,715)
	(394,676)	980,654

10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	მიწა *	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	აღჭურვილობა, ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ელ- მომარაგების ხაზი	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
<u>თვითღირებულება:</u>							
2022 წლის 1 იანვარს	1,346,832	186,924	3,713,877	55,623	18,800	41,196	5,363,252
დამატებები	-	-	3,201,603	40,926	-	-	3,242,529
გასვლები	-	-	-	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერს	1,346,832	186,924	6,915,480	96,549	18,800	41,196	8,605,781
დამატებები	-	-	551,841	23,491	-	-	575,637
გასვლები	(154,000)	-	-	-	-	-	(154,305)
2023 წლის 31 დეკემბერს	1,192,832	186,924	7,467,321	120,040	18,800	41,196	9,027,113
<u>დაგროვილი ცვეთა:</u>							
2022 წლის 1 იანვარს	-	54,347	1,586,872	22,581	12,711	22,650	1,699,161
ცვეთის ხარჯი	-	7,014	246,500	6,778	1,257	2,372	263,921
2022 წლის 31 დეკემბერს	-	61,361	1,833,372	29,359	13,968	25,022	1,963,082
ცვეთის ხარჯი	-	6,663	303,864	11,418	966	1,617	324,529
2023 წლის 31 დეკემბერს	-	68,024	2,137,236	40,777	14,934	26,639	2,287,611
<u>საბალანსო ღირებულება:</u>							
2022 წლის 1 იანვარს	1,346,832	132,577	2,127,005	33,042	6,089	18,546	3,664,091
2022 წლის 31 დეკემბერს	1,346,832	125,563	5,082,108	67,190	4,832	16,174	6,642,699
2023 წლის 31 დეკემბერს	1,192,832	118,900	5,330,085	79,263	3,866	14,557	6,739,503

*კომპანია სარგებლობს კომერციული ბანკის საკრედიტო ხაზით. სესხის უზრუნველსაყოფად, კომპანიის ბალანსზე არსებული მიწის ნაკვეთების ნაწილი დატვირთულია იპოთეკით.

კომპანიის არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს კომპიუტერული საადრიცხვო პროგრამა, რომლის ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 326 ლარს, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 419 ლარს.

11. მარაგები

	2023	2022
	ლარი	ლარი
გასაყიდად გამიზნული ნავთობპროდუქტები	22,203,081	15,164,079
ნედლეული და მასალები	8,924,020	736,814
	31,127,101	15,900,893

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022
	ლარი	ლარი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	7,716,536	2,984,089
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	913,143	808,774
სხვა საბანკო მოთხოვნები	-	695,563
საექვო ვალების ანარიცხები	(720,604)	(522,516)
	7,909,075	3,965,910

13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2023	2022
	ლარი	ლარი
ნაღდი ფული სალაროში	1,190	435
ფული საბანკო ანგარიშებზე	101,253	607,627
	102,443	608,062

14. სასესხო ვალდებულებები

			2023	2022
	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ლარი	ლარი
<u>გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები:</u>				
სესხები ბანკებისგან	USD	8-8.5%	13,399,553	342,957
			13,399,553	342,957
<u>მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები:</u>				
სესხები ბანკებისგან	USD	8-8.5%	5,258,441	4,724,105
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	USD	8-8.5%	296,367	408,680
			5,554,807	5,132,785

კომპანია სარგებლობს კომერციული ბანკის საკრედიტო ხაზით. სესხის უზრუნველსაყოფად, კომპანიის ბალანსზე არსებული მიწის ნაკვეთების ნაწილი დატვირთულია იპოთეკით.

15. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2023	2022
	ლარი	ლარი
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	4,427,233	239,107
მიღებული ავანსები	593,400	450,557
	5,020,633	689,664

16. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებებს წარმოადგენს გადასახდელი პროცენტები, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 913,205 ლარს, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 860,791 ლარს.

17. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან თუ ერთ მხარეს შესწევს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარის მიერ ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებაზე. დაკავშირებული მხარის ყველა შესაძლო ურთიერთობის გათვალისწინებისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს და არა მის სამართლებრივ ფორმას.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც შესაბამის ფინანსურ წელს დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა:

	მესაკუთრეები	მთავარი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები
	ლარი	ლარი	ლარი
2023			
შესყიდვები	-	-	1,674
სახელფასო ხარჯები	110,169	58,602	-
სავაჭრო მოთხოვნები	-	-	180

	მესაკუთრეები	მთავარი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები
	ლარი	ლარი	ლარი
2022			
შესყიდვები	-	-	-
სახელფასო ხარჯები	110,843	58,602	-
სავაჭრო მოთხოვნები	-	-	180

18. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

19. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიადგება. კომპანიას საკრედიტო რისკი ემუქრება საოპერაციო საქმიანობის და ფინანსური საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებულ ფულად სახსრებთან მიმართებით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოადგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები:

	2023	2022
	ლარი	ლარი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,995,932	2,461,573
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	102,443	608,062
	7,098,375	3,069,635

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას სირთულებები შეექმნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისას. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით. კომპანია ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას, რაც ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად ახორციელებს ლიკვიდურობის მდგომარეობის მონიტორინგს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრისათვის, მათი დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებების თანხები წარმოადგენენ საკონტრაქტო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

ფინანსური ვალდებულებები:

	2023		
	3 -12 თვემდე ლარი	12 თვეზე მეტი ლარი	სულ ლარი
სასესხო ვალდებულებები	5,554,808	13,399,553	18,954,361
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	4,427,233	-	4,427,233
	9,982,041	13,399,553	23,381,594

	2022		
	3 -12 თვემდე ლარი	12 თვეზე მეტი ლარი	სულ ლარი
სასესხო ვალდებულებები	4,724,105	342,957	5,067,062
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	239,107	-	239,107
	4,963,212	342,957	5,306,169

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან: ა) უცხოურ ვალუტასთან, ბ) საპროცენტო განაკვეთები და გ) წილობრივ პროდუქტებთან მიმართებაში, ამასთან ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას, ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

I. საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე.

ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

II. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

შემდეგ ცხრილში მოცემულია კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დენომინაციის ვალუტის მიხედვით:

	აშშ დოლარი	ევრო	რუბლი	ლარი	სულ
31.12.2023					
<u>ფინანსური აქტივები:</u>	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,762,865	-	-	2,953,671	7,716,536
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	2,249	-	100,194	102,443
	4,762,865	2,249	-	3,053,865	7,818,979
<u>ფინანსური ვალდებულებები:</u>					
სასესხო ვალდებულებები	18,954,361	-	-	-	18,954,361
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	4,223,244	10,768	-	193,220	4,427,233
	23,177,605	10,768	-	193,220	23,381,594
წმინდა სავალუტო პოზიცია	(18,414,740)	(8,519)	-	2,860,645	(15,562,615)
	აშშ დოლარი	ევრო	რუბლი	ლარი	სულ
31.12.2022					
<u>ფინანსური აქტივები:</u>	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	66,331	-	-	2,917,758	2,984,089
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	464	27	50,205	557,366	608,062
	66,795	27	50,205	3,475,124	3,592,151
<u>ფინანსური ვალდებულებები:</u>					
სასესხო ვალდებულებები	5,067,062	-	-	-	5,067,062
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	172,921	10,835	-	55,351	239,107
	5,239,983	10,835	-	55,351	5,306,169
წმინდა სავალუტო პოზიცია	(5,173,189)	(10,808)	50,205	3,419,773	(1,714,018)

20. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, კომპანიის მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ხარჯი. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან შესწორების მიზნით,

კომპანიამ შესაძლოა, დააკორექტიროს პარტნიორისთვის გადახდილი დივიდენდი ან უკან დაუბრუნოს კაპიტალი პარტნიორს.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე კომპანიაში სესხის ოდენობა გაიზარდა 2,254,114 ლარით

22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი: ბადრი ბუთხუზი _____

კომპანიამ შესაძლოა, დააკორექტიროს პარტნიორისთვის გადახდილი დივიდენდი ან უკან დაუბრუნოს კაპიტალი პარტნიორს.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები


საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე კომპანიაში სესხის ოდენობა გაიზარდა 2,254,114 ლარით

22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი: ბადრი ბუთხუზი





შპს „ზდ ნავთობს კომპანია“

მმართველობით ანგარიში - 2023წწ.

სარჩევი:

1. კომპანიის შესახებ.
2. მმართველობა
3. საქმიანობის შედეგები
4. კომპანიის განვითარების გეგმები
5. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ
6. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა
7. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები
8. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ
9. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ
10. მმართველობასთან დაკავშირებული სხვა რისკები და გაურკვევლობები

1. კომპანიის შესახებ.

1.1. შპს „ზდ ნავთობს კომპანია“ დაფუძნდა 2013 წლის 26 მარტს საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ თანახმად.

კომპანიის შექმნის მიზანი თავიდანვე იყო ნავთობისა და ნავთობპროდუქტების სფეროში საქმიანობა და ამ სფეროში თავისი წვლილის შეტანა.

დაფუძნების შემდეგ კომპანიამ განახორციელა საჭირო უძრავი ქონების შეძენა და გაერთიანება. პარალელურად ახორციელებდა საჭირო ინვენტარისა და აღჭურვილობების (ტექნოლოგიური დანადგარების) მოძიებას, შეძენას, შემოტანას და ინსტალაციას.

პარალელურად ახორციელებდა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საცავის მშენებლობას მოქმედი კანონმდებლობის და მიღებული ლიცენზიებისა და ნებართვების შესაბამისად.

დაახლოებით 2 წლიანი პერიოდი დასჭირდა ტექნოლოგიური დანადგარების მონტაჟსა და ინსტალაციას, მათ გამოცდით სამუშაოებს.

1.2. როგორც თქვენთვის ცნობილია კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და სრულად შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს. კანონმდებლობას ასევე შეესაბამება მისი მართვის სტილი და ვერტიკალი (უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება, რომელიც ნიშნავს დირექტორ(ებ)ს, ხოლო ეს უკანასკნელი ასაქმებს საჭირო ცოდნისა და კვალიფიკაციის კადრებს, აფორმებს მათთან ხელშეკრულებებს, განუსაზღვრავს საქმიანობის მიმართულებებსა და ფარგლებს, რასაც ახორციელებს ორგანიზაციის შიდა დოკუმენტებით და თანამდებობრივი ინსტრუქციებით.

1.3. ჩვენი კომპანიის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ის არ არის დიდი კომპანია და თავისი სტრუქტურით ვერ შეედრება კლასიკური ნავთობგადამამუშავებელი ქარხნებსათვის დადგენილ კლასიკურ სტრუქტურებს, მაგრამ თავისი წარმოების პოლიტიკით, შესაძლებლობებით და წარმადობის გათვალისწინებით სრულად ამართლებს და სრულად ასრულებს კომპანიის წინაშე დასმულ საწარმოო, ფინანსურ თუ სხვა ამოცანებს. მოცემული მომენტისათვის მის მიერ წარმოებული მმართველობითი პოლიტიკა მიესადაგება დაკისრებული ამოცანების შესრულებას.

2. მმართველობა

2.1. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ კომპანიის მთავარი მმართველობითი ორგანო არის პარტნიორთა კრება, რომელიც იკრება პერიოდულად და განიხილავს მიმდინარე და სამომავლო ამოცანებს. დაგეგმილი შედეგებიდან გამომდინარე კომპანიის მმართველ რგოლს აძლევს დავალებებს და შემდგომ მისგან სისტემატურად ისმენს შედეგებს.

2.2. მმართველ რგოლი არის სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული დირექტორი (ანუ აღმასრულებელი დირექტორი) და მის დამხმარე სამეწარმეო რეესტრში დაურეგისტრირებელი დირექტორები შესაბამისი მიმართულებით და საწარმოო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები (მიუხედავად მათი თანამდებობის დასახელებისა). აღნიშნული პირები საჭიროების შემთხვევაში ერთობლივად, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ინდივიდუალურად განიხილავენ მათთვის დასმული ამოცანებს შესაძლებლობებს და ახდენენ ურთიერთკოორდინირებას, ერთობლივად ან/და ცალ-ცალკე ახდენენ ამოცანების შესრულებას და შედეგების კონტროლს. მიღებული ან/და მოსალოდნელი შედეგების შესახებ ატყობინებენ კომპანიის დირექტორს, ხოლო ეს უკანასკნელი ატყობინებს კომპანიის პარტნიორებს. საჭიროების შემთხვევაში ხდება დასახული ამოცანების კორექტირება საბაზრო პირობების, ვალუტის კურსის, მოთხოვნისა და სხვა პარამეტრების გათვალისწინებით.

ამგვარი პროცედურები ხორციელდება მარტივი და მოკლე დროში კომუნიკაციის გზებით, რაც იძლევა საშუალებას კომპანია იყოს მოქნილი გარე ცვალებად ფაქტორებისადმი, რითაც მცირდება რისკები მნიშვნელოვანი ზარალის თავიდან ასაცილებლად.

3. საქმიანობის შედეგები

3.1. როგორც სახელწოდებიდან ჩანს კომპანია არის ნავთობპროდუქტების სფეროში მომუშავე კომპანია. იძენს, შემოაქვს ნედლი ნავთობის (ძირითადად საქართველოსში მოპოვებული ნავთობი), ახდენს მის გადამამუშავებას, იღებს მაზუთის, დიზელის და ნედლი ბენზინის პროდუქციას, რომლებიც სხვადასხვა ქიმიური და ფიზიკური პროცედურების გამოყენების შემდეგ ხდება სამომხმარებლო საწვავი (საქონელი). საქართველოს ბაზარზე არსებული ნავთობის სფეროში დასაქმებული კომპანიებისაგან იმით გამოირჩევა რომ მას აქვს ნავთობის გადამამუშავებელი წარმოებაც, რაც გარკვეულ უპირატესობას იძლევა, ხოლო სხვა კომპანიები ძირითადად იმპორტირებული ნავთობპროდუქტებს გაყიდვით არიან დაკავებული. აღნიშნული ჩვენს კომპანიას აძლევს საშუალებას დააწესოს ნაკლები ფასები და ამ მხრივაც იყოს ელასტიური. სწორედ ეს განაპირობებს იმას, რომ კომპანიას ნაწარმოებ პროდუქციის (მაზუთი, დიზელი, ბენზინი) გაყიდვის პრობლემა ძირითადად არ გააჩნია. კომპანია უმთავრესად მუშაობს საბითუმო პირობებით და პროდუქციას აწვდის სხვადასხვა დასახელების და სხვადასხვა სიდიდის კომპანიებს.

4. კომპანიის განვითარების გეგმები

4.1. ჩვენი კომპანია საქმიანობის 10 წლის განმავლობაში საკმაოდ განვითარდა და მოძლიერდა. დღის წესრიგში დგას დამატებითი სათავსების და საცავების მშენებლობა, რომლის დამატებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს იურიდიული პროცედურების გავლა. აღნიშნული პროცედურები გავლილი სანახევროდ და კიდევ დამატებით საჭიროა რამოდენიმე თვე რათა სრულად იქნეს დაძლეული ადმინისტრაციული პროცედურები და დაიწყოს გაფართოების სამუშაოები. გაფართოებისათვის კომპანიის მიერ 2019-2022 წლებში შეძენილი იქნა მიწის ნაკვეთი და საცავების მშენებლობისათვის საჭირო მასალები. საცავების გაფართოება (დამატება) კომპანიას საშუალებას მისცეს იყოს უფრო მოქნილი ცვალებად საბაზრო პირობებთან (ძირითადად პლაცის ცვალებადობასთან

და დოლარის კურსის ცვალებადობასთან) მიმართებაში. კერძოდ მას საშუალება ექნება შეიძინოს ნედლეული მაშინ როდესაც პლაცი მისთვის მისაღები იქნება, გადაამუშაოს ისინი და პლაცის და დოლარის გაუარესების შემთხვევაში დააყოვნოს ისინი საკუთარ საცავებში გარკვეული დროით და გაყიდოს ისინი ხელსაყრელი პირობების დადგომის ან/და კლიენტების გამოჩენის შემთხვევაში. აღნიშნული მნიშვნელოვანი იქნება მისი ზარალის შემცირების და მინიმალიზაციისათვის.

4.2. იგეგმება ასევე ტექნოლოგიური და დამატებითი სხვა პროდუქციის გამოშვება, რაზედაც მოცემული ეტაპისათვის საუბარი ცოტა ადრეა. ასევე იგეგმება ნედლეულის სხვადასხვა წყაროებიდან მოზიდვის გაფართოება, რისთვისაც ასევე გამოყენებული იქნება საცავების გაზრდილი მოცულობა. ჩვენი კომპანიის სტაბილური ზრდა დღის წესრიგში აყენებს დამატებითი პირების დასაქმების საკითხსაც, რაც ეტაპობრივად განხორციელდება გაფართოებასთან ერთად. ჩვენი კომპანიის საქმიანობაში დამატებითი შტრიხს წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ ჩვენ თითქმის მთლიანად ვითვისებთ საქართველოში მოპოვებულ ნედლ ნავთობს, აღარ ხდება მისი გადინება საზღვარგარეთ და მისი გადამუშავების მოგება და ეკონომიკური სიკეთე რჩება საქართველოში, ამით იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანების ოდენობა, სხვადასხვა პირების დასაქმება, და მიღებული მოგების კომპანიის და ქვეყნის სასარგებლოდ გამოყენება. მოკლედ რომ ვთქვათ ჩვენი მოკრძალებული წვლილი შეგვაქვს ეკონომიკის განვითარებაში.

5. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

5.1. მოცემულ ეტაპზე კომპანიას არ აქვს ფილიალები და ცალკე მოქმედი სტრუქტურული ერთეულები, თუმცა გაფართოებასა და განვითარებასთან ერთად არ გამოვრიცხავთ ფილიალების ან/და დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულებს გაჩენას და მათ ჩართვას ჩვენს საქმიანობაში.

6. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

6.1. 2023 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ არ მომხდარა ინდივიდუალური კვლევის და განვითარების სამუშაოების ჩატარება, რომელიც უკავშირდება ინოვაციური ღონისძიებების დანერგვას ახალი ან უკვე არსებული პროდუქტების განვითარების ან გაუმჯობესების მიზნით, ეს ძირითადად იმითაა განპირობებულია, რომ კომპანიას არ აქვს პრობლემები ნედლეულის მოძიებასა და მზა პროდუქციის რეალიზაციაში, ანუ ჩვენი საწარმოო სიმძლავრეები და რეალიზაციიდან მიღებული უკუგება ურთიერთთანხვედრაშია და დამატებითი კვლევების საჭიროება რომელიმე რგოლის წინ წასაწევად არ გვესაჭიროება.

6.2. სანაცვლოდ ამისა ყოველდღიურად ხდება გამოქვეყნებული და რეალურ ბაზარზე არსებული ინფორმაციის მოპოვება პლაცების, ვალუტის კურსების, სხვადასხვა ნავთობკომპანიებიდან გასაყიდი და შესასყიდი პროდუქციის ფასების მოძიება და ჩვენს საქმიანობაში გამოყენება. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენი სფეროსათვის ფართო და ხანგრძლივი კვლევების ჩატარება და ამ მიმართულებით თანხების დხარჯვა არ იქნება ეფექტური და მომგებიანი, ვინაიდან ჩვენი საქმიანობის ძირითადი განმსაზღვრელი და მასტიმულირებელი კომპონენტები (პლაცი და დოლარის კურსი) იცვლება ყოველდღიურად და საჭიროა მივეყვით მას აქტიურ მიმდინარე რეჟიმში და არა ხანგრძლივი და კვლევების ჩატარებით, ხოლო რაც ეხება საქონლის საერთო მოცულობის იმპორტ-ექსპორტის და გაყიდვების შესახებ ინფორმაციას, ამ ინფორმაციას მოვიძიებთ საქსტატის და სხვადასხვა სპეციფიკური (ამ სფეროს მომცველი) გამოცემებიდან.

7. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

7.1. შპს ზედ ნავთობის კომპანია“ მომგებიანობის მაჩვენებელი ბოლო 2 წლის განმავლობაში ზრდის ტენდენციას აჩვენებს (დეტალურად იხილეთ ფინანსური მაჩვენებლები).

7.2. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანმა საკუთარმა კაპიტალმა 20914444 ლარი შეადგინა, მონაცემებთან შედარებით ხოლო კომპანიის აქტივები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 45878448 ლარს

7.3. აღსანიშნავია, რომ 2023 წლის განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ უკრაინაში მიმდინარე საომარმა მოქმედებებმა, ვერ შეაჩერა ჩვენი გაყიდვები და კომპანიას ხელი ვერ შეუშალა დაგეგმილი ამოცანების განხორციელებაში.

8. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

8.1. 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და გასხვისება, არ განხორციელებულა წილის ყიდვა-გაყიდვა ან/და პარტნიორებს შორის სხვაგვარი გადანაწილება. ამ კუთხითაც ჩვენი კომპანია სტაბილურია.

9. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

9.1. კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

10. მმართველობასთან დაკავშირებული სხვა რისკები და გაურკვევლობები

10.1. როგორც ვიცით რისკი თანდაყოლილი მოვლენაა ბიზნესის წარმოების დროს, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორიცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ.

10.2. ყველა კომპანია თავისი საქმიანობის პროცესში დგას საოპერაციო და ფინანსური რისკების წინაშე.

10.3. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვან საოპერაციო რისკებში შეიძლება გამოიყოს შემდეგი რისკები: ვალუტის კურსის მკვეთრი ცვლილებები, მომწოდებლის მიერ არასათანადო ხარისხის ნედლეულის მოწოდება, მიწოდებული მზა საქონლის ღირებულების დაგვიანებით გადახდა ან არ გადახდა და სხვა. ამ მიმართულებით კომპანიას გამომუშავებული აქვს ინდივიდუალური და ნდობითი რეფლექსები, სისტემატურად გეგმავს და ახდენს საქონლის ნიმუშების აღებას, ლაბორატორიულ კვლევებს, მომწოდებლების საიმედოობის და გადახდისუნარიანობის შემოწმებას და დამატებითი გარანტიების მოთხოვნას (საჭიროების შემთხვევაში).

10.4. პროდუქტის ხარისხის გაფუჭება - აღნიშნული რისკი თითქმის არასდროს დაგვდგომია, ვინაიდან საბოლოო სახის მიცემამდე ხდება პროდუქციის კვლევა, შემოწმება და მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევა საბოლოო სახე, გარდა ამისა კომპანიას ყავს კვალიფიციური პერსონალი, ასევე სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, კომპანიის პროდუქცია ხასიათდება სტაბილურობით, რაც განაპირობებს კმაყოფილი და გაზრდილი კლიენტების რიცხვს.

10.5. კადრების ბრუნვა - ამ მიმართულებით კომპანია არის სტაბილური და ფრთხილი. მას უკვე დასაქმებული ყავს კვალიფიციური კადრები, ხოლო ახალი კადრების აყვანას ახორციელებს დიდი სიფრთხილით შერჩევის და ხანგრძლივი გამოცდის გზით. ახალ კადრებს უტარდებათ ინსტრუქტაჟი და დამოუკიდებლად საქმიანობამდე თავიანთ მოვალეობებს ახორციელებენ შესაბამისი პროფილის ზედამხედველობის ქვეშ.

10.6. გლობალური რისკი, უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებები, ჩვენს კომპანიას არ შეეხო.

შპს „ზდ ნავთობის კომპანია“
დირექტორი ბ. ბუთხუზი

